

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა #

შედულება

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4

პროგრამის ხელმძღვანელი: ტარიელ წიკლაური

რუსთავი  
2019 წ.

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: - შედუღება/Welding
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 07310-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია
  - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715. აღმწერი - „შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე“.

4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კარდის მომზადება შდუღების მიმართულებით.
  5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
    - საბაზო განათლება
    - „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

- შედუღების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.
- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 25.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7212

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- საბაზო# პროფესიული# კვალიფიკაცია# შედუღებაში# მოიცავს# 5# ზოგად# მოდულს# ჯამური# 9# კრედიტის# რაოდენობით1# <## საერთო# პროფესიულ# მოდულს# ჯამური# 65# კრედიტის# რაოდენობით1# შედუღებაში# საბაზო# პროფესიული# კვალიფიკაციის# მინიჭებისთვის# პირმა# უნდა# დააგროვოს# 6 ; # კრედიტი1#
- მოდულის, „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით

დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.

- აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 53 კრედიტი;

**საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოდულები**

შედულება		
საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის - ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტები
1	0410003 მეწარმეობა 1	2
2	0230101 უცხოური ენა /ინგლისური ენა/	4
<b>სულ</b>		<b>6</b>
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტები
1	0731001 ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	4
2	0731002 შედულების მასალები და მათი მახასიათებლები	4
3	0731003 დარგობრივი კომუნიკაცია	4
4	0731004 ლითონის თერმული დამუშავება	4
5	0731005 შესადულებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება	4
6	0731006 შედულების პროცესის მასალების მომზადება	4
7	0731007 ლითონების შედულება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში	4
8	0731008 შედულება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში	2
9	0731009 მშრალი შედულება	2
<b>ჯამი:</b>		<b>32</b>
კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:		<b>38</b>
კრედიტების რ-ბა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:		<b>53</b>

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით;
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად;
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით;
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით;
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით;
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით;
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები;
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

**9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საბაზო კვალიფიკაციის მისაღებად და სრულად მოიცავს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის სავალდებულო ზოგად და შემდუღებლის საერთო პროფესიულ მოდულებს.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში, განხორციელების პირობები განისაზღვრება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია;*

დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**4.1 პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა სრულად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი), 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი

**14. პარტნიორი ორგანიზაციების სია:**

1. შპს „ვაგონმშენებელი კომპანია“
2. შპს „კონსტრუქცია“
3. შპს „რუსელოისი“
4. შპს „ქალაქის სანტექნიკი“

**დანართები:**

- დანართი №1 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დანართი №2 - სასწავლო გარემოს აღჭურვილობა;
- დანართი №3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- დანართი №4 - 0110001, „ქართული ენა A 2“;
- დანართი №5 - სასწავლო გეგმა, ქართული ენა;
- დანართი №6 - 0230101, უცხოური ენა ( ინგლისური ენა );
- დანართი №7 - 0410003, მეწარმეობა 1;
- დანართი №8 - 0731001 ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე;
- დანართი N9 - 0731002 შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები;
- დანართი №10 - 0731003 დარგობრივი კომუნიკაცია;
- დანართი №11 - 0731004 ლითონის თერმული დამუშავება;
- დანართი №12 - 0731005 შესადუღებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება;
- დანართი №13 – 0731006 შედუღების პროცესის მასალების მომზადება;
- დანართი №14 - 0731007 ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში;
- დანართი №15 - 0731008 შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში;
- დანართი №16 - 0731009 მშრალი შედუღება.